

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და პოზიცია

ახმეტის მუნიციპალიტეტში მდ. ალაზანზე 5.4 მგვტ/სთ დადგმული სიმძლავრის ხადორი 3 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

8 ივნისი 2018

რეზიუმე

2017 წლის 18 ოქტომბრის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს N-706 ბრძანებით დამტკიცდა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N-75 ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წამოდგენილ შპს „ალაზანი ენერჯის“ მდ. ალაზანზე 5.4 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე.

მწვანე ალტერნატივამ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განიხილა პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნებთან მიმართებაში და აღმოაჩინა მნიშვნელოვანი დარღვევები. მიგვაჩნია, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში შეუსწავლელი და არასათანადოდ შესწავლილი მთელი რიგი საკითხების გამო, არ არსებობდა საფუძველი დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გასაცემად.

ქვემოთ წარმოგიდგენთ იმ ძირითად პრობლემურ საკითხებს, რომელიც ეწინააღმდეგება „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნებს.

I. ალტერნატივების ანალიზი

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნით (მუხლი 6: პარაგრაფი 2)¹, „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ი) პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიის ალტერნატივების განსაზღვრას;“

გზმ ანგარიშში კი წარმოდგენილია ინფორმაცია მხოლოდ არაქმედების ალტერნატივისა და ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების განლაგების ალტერნატიული ვარიანტების თაობაზე, ტექნოლოგიის ალტერნატივები კი საერთოდ არ არის ნახსენები:

„საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე გზმ-ს ანგარიშში განხილული უნდა იყოს პროექტის სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტები. წინამდებარე პარაგრაფში განხილულია პროექტის სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტები, მათ შორის:



გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში



მონიტორინგ ვუწევთ
საერთაშორისო საფინანსო
ინსტიტუტების საქმიანობას



თბილისი, 0179, საქართველო
ვალთაშვილის ქ.39ბ, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

¹ http://www.moe.gov.ge/res/docs/kanonmdebloba/Brdzanebebi/1_brdzaneba.pdf

- არაქმედების ანუ პროექტზე უარის თქმის ალტერნატივა;
- ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების განლაგების ალტერნატიული ვარიანტები.²

შესაბამისად, აღნიშნული საკითხი წარმოადგენს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების უხეშ დარღვევას.

II. პროექტის საჭიროება

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნით (მუხლი 6: პარაგრაფი 2), „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ე) დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას;

თ) პროექტების ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების ჩატარებას“.

მართალია, გზმ ანგარიშში წარმოდგენილია შემდეგი ქვეთავები „6.11.2.1 ზემოქმედება მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე“; „6.11.2.2 დასაქმებასთან დაკავშირებული ზემოქმედებები“; „6.11.2.3 წვლილი ეკონომიკაში“ და “4.1 არაქმედების ალტერნატივა”, თუმცა აღნიშნულ ქვეთავებში წარმოდგენილი ინფორმაცია იმდენად ზოგადია და დაუსაბუთებელი, რომ შეუძლებელია ამ ინფორმაციით როგორც ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასება, ასევე პროექტის ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასება.

მაგალითად, გვხვდება შემდეგი ტიპის შეფასებები:

1. *„მშენებლობის ეტაპზე პირველ რიგში აღსანიშნავია დასაქმებით გამოწვეული დადებითი ზემოქმედება. დასაქმებულთა დიდი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობა იქნება. აღნიშნული საგზაო მნიშვნელოვანი დადებითი ზეგავლენა იქნება თემის მოსახლეობის დასაქმების და მათი სოციალურის მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრით.“*

თუმცა გაუგებარია დასაქმებულთა რაოდენობა, დასაქმების პერიოდი, ადგილობრივების წილი დასაქმებულთა შორის. უფრო მეტიც, იმავე დოკუმენტის თანახმად, „ჰესის ექსპლუატაციაში დასაქმებულთა რაოდენობა არ იქნება მნიშვნელოვანი. შესაბამისად, ამ ეტაპზე როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზემოქმედების რისკები ნაკლებია“. შესაბამისად ნათელია, რომ პროექტის დადებითი ზემოქმედება დასაქმების თვალსაზრისით იქნება უმნიშვნელო.

2. *„ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება საგულისხმო წვლილს შეიტანს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ჰესის მშენებლობაზე გამოყენებული იქნება სამშენებლო მასალების ადგილობრივი რესურსები, რაც ხელს შეუწყობს სამშენებლო მასალების წარმოების სექტორის გააქტიურებას. ჰესის ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ ენერგოსისტემა მიიღებს დამატებით ელექტროენერჯიას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მიღწევისათვის. პროექტის განხორციელების შედეგად ადგილობრივ ბიუჯეტში შევა დამატებითი თანხები. მათ შორის, აღსანიშნავია ქონების გადასახადი. ამასთანავე სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებული პერსონალის მომსახურებისათვის მოსალოდნელია სატელიტი ბიზნეს*

² „გზმ ანგარიშის მე-4 თავი „პროექტის ალტერნატიული ვარიანტების აღწერა“

საქმიანობების (ვაჭრობა, მომსახურება, სატრანსპორტო უზრუნველყოფა, საკვები პროდუქტების წარმოება და სხვა) გააქტიურება, რაც დასაქმების დამატებით წყაროდ უნდა ჩაითვალოს“.

თუმცა არ არის წარმოდგენილი ანალიზი და დეტალური შეფასება, კონკრეტულად რა სარგებელზეა საუბარი; არ არის წარმოდგენილი შესაბამისი შეფასებები, თუ რა ზემოქმედება ექნება პროექტს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ტურიზმზე, მათ შორის ეკოტურიზმზე ა.შ. არ არის გამოყენებული ისეთი ეკონომიკური ინსტრუმენტი, როგორცაა დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზი, რის საფუძველზეც ნათელი წარმოდგენა შეექმნებოდა გადაწყვეტილების მიმღებს, იმის თაობაზე, თუ რა სარგებელს მივიღებთ პროექტისგან და არის თუ არა ის საპირწონე იმ ზიანისა, რასაც აღნიშნული პროექტი აყენებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოს. ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია იმდენად ზოგადია, რომ ძნელია წარმოდგენა შეგვექმნას თუნდაც პროექტის ენერგეტიკული სარგებლის შესახებ.

შესაბამისად, დოკუმენტში პროექტის ეკონომიკურ-ეკოლოგიური შეფასება რეალურად არ არის ჩატარებული, რაც ზემოთაღნიშნული დებულების მოთხოვნების უხეში დარღვევაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ჩანაწერები მეორდება სხვა ჰესებზე გაკეთებულ არაერთ გზმ ანგარიშებში, მათ შორის, მესტიაჭალა ჰესის გზმ ანგარიშში.

III. დეტალური შესწავლების არარსებობა

გზმ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი დეტალური კვლევები უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რასაც ადასტურებს თავად ანგარიშში არსებული ჩანაწერებიც:

„6.4 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე. საშიში გეოდინამიკური პროცესები (6.4.3 შემარბილებელი ღონისძიებები)“

- „რთულ რელიეფურ უბნებზე მიწის სამუშაოების შესრულებას ზედამხედველობას გაუწევს ინჟინერ-გეოლოგი. წინასწარ მოხდება ფერდობის მდგრადობის გამოთვლა და პროგნოზირება“;

- „ძირითადი ნაგებობების ფუნდირება მოხდება საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე. ფუნდამენტების ტიპი შერჩეული იქნება არსებული გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით“;

- „საპროექტო დერეფნის სენსიტიურ უბნებზე მოეწყობა დამცავი ნაგებობები. პროექტირებისას, მათი პარამეტრები დადგენილი იქნება ფსკერისა და ნაპირების წარეცხვის ინტენსივობის ჰიდროლოგიურ-ჰიდრაულიკური გაანგარიშებების საფუძველზე“;

- „ზედა ფერდობების გასწვრივ განსაკუთრებით საშიშ მონაკვეთებზე ჩატარდება გრუნტის გამაგრებითი სამუშაოები. შესაძლებლობისამებრ მოხდება ხე-მცენარეების ზრდა-განვითარების ხელშეწყობა“;

აღნიშნული ჩანაწერებიდან ნათელი ხდება, რომ დეტალური კვლევები გზმ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი და დაგეგმილია მშენებლობის პროცესში. შესაბამისად, ირღვევა „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების შემდეგი პარაგრაფები:

ო) დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკების ანალიზს (მშენებლობის ან/და ექსპლუატაციის ეტაპზე);

„ჟ) გარემოზე დადგენილ ზემოქმედებათა ფაქტორების შედეგად მიღებული გარემოს მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზს“.

IV. შესაბამისი კვლევების ნაკლებობა

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის მე-4 პარაგრაფის მიხედვით, „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში საშუალებას უნდა აძლევდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩამატარებელ ორგანოს, მართებულად შეაფასოს მიღებული საპროექტო გადაწყვეტა მისი ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით, შეამოწმოს პროექტის შესაბამისობა კანონმდებლობასთან და შეზღუდვების მიღებულ სისტემასთან, შეადგინოს დასკვნა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაციის უტყუარობისა და მის საფუძველზე მიღებული საპროექტო გადაწყვეტების მართებულობის შესახებ“. აღნიშნული მოთხოვნის შესრულება კი შეუძლებელია ადგილზე ჩატარებული კვლევებისა და ანალიზის გარეშე.

სამწუხაროდ, ჩვენი აზრით, გზშ ანგარიშში კვლევების დიდი ნაწილი ადგილზე არ იყო ჩატარებული. დებულების მიზნების ფორმალური შესრულებისთვის კი საკონსულტაციო კომპანია დააკოპირა მთელი რიგი საკითხები სხვა ჰიდროელექტროსადგურების პროექტების გზშ ანგარიშებიდან ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე. მაგალითისთვის, წარმოგიდგინთ ხადორის 3 ჰესისა და ზემო სვანეთში მშენებარე მესტიაჰალა ჰესის გზშ ანგარიშებში წარმოდგენილი მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების შედარებას.

კუმულაციური ზემოქმედება

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა „ზ) ნარჩენი (კუმულაციური) ზეგავლენის, მისი კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდების განსაზღვრას;“ (მუხლი 6: პარაგრაფი 2).

გზშ ანგარიშის „6.13 კუმულაციური ზემოქმედება“ თავი ეძღვნება სწორედ აღნიშნულ საკითხს. ანგარიშის გაცნობის შემდეგ ნათელი გახდა, რომ სახელების შეცვლის გარდა აღნიშნული შეფასება სიტყვა-სიტყვით არის კოპირებული სხვა გზშ ანგარიშებიდან, კერძოდ:

ჩანაწერი ხადორი 3 ჰესის გზშ ანგარიშში:

სამუშაოების პროცესში მდინარის წყლის ხარისხის გაუარესება მოსალოდნელია ნარჩენების (მათ შორის ჩამდინარე წყლების) არასწორი მართვის და მდინარის კალაპოტში სამშენებლო სამუშაოებისას გარემოსდაცვითი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში. შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების მინიმიზაცია შესაძლებელი იქნება მიზანმიმართული გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და მონიტორინგის გათვალისწინებით.

ჩანაწერი მესტიაჰალა ჰესის გზშ ანგარიშში:

სამუშაოების პროცესში მდინარის წყლის ხარისხის გაუარესება მოსალოდნელია ნარჩენების (მათ შორის ჩამდინარე წყლების) არასწორი მართვის და მდინარის კალაპოტში სამშენებლო სამუშაოებისას გარემოსდაცვითი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში. შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების მინიმიზაცია შესაძლებელი იქნება მიზანმიმართული გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და მონიტორინგის გათვალისწინებით.

ხადორი 3 ჰესი: ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე:

საპროექტო ჰესის მშენებლობისათვის შერჩეული ტერიტორიები ბიომრავალფეროვნებით არ გამოირჩევა და მაგრამ სამშენებლო სამუშაოები ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან იქნება დაკავშირებული. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ფართობის ტერიტორიებზე ადგილი იქნება მცენარეული საფარის განადგურებას, ცხოველთა საბინადრო ადგილების მოშლას,

ჰაბიტატების განადგურებას და სხვა. გამომდინარე აღნიშნულიდან ბიოლოგიურ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს.

ჩანაწერი მესტიაჭალა ჰესის გზშ ანგარიშში: ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე:

საპროექტო კასკადის მშენებლობისათვის შერჩეული ტერიტორიები ბიომრავალფეროვნებით არ გამოირჩევა და მაგრამ სამშენებლო სამუშაოები ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან იქნება დაკავშირებული. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ფართობის ტერიტორიებზე ადგილი იქნება მცენარეული საფარის განადგურებას, ცხოველთა საბინადრო ადგილების მოშლას, ჰაბიტატების განადგურებას და სხვა. გამომდინარე აღნიშნულიდან ბიოლოგიურ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს.

ხადორი 3 გზშ: სოციალურ ეკონომიკური გარემო:

„ზოგადად ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალურ- ეკონომიკურ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება დაგეგმილი ჰესის მშენებლობის ფაზაზე დადებითი ხასიათის იქნება, შემდეგი გარემოებების გამო:

- სამშენებლო სამუშაოების შესრულებისათვის შეიქმნება გარკვეული რაოდენობის (დაახლოებით 70-80 ერთეული) დროებითი სამუშაო ადგილები, რომლებზედაც ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მუშა ძალა (დაბალი კვალიფიკაციის მუშახელის აბსოლუტური უმრავლესობა, რაც თვით საქმიანობის განმხორციელებელი კომპანიების მნიშვნელოვანი ინტერესია);
- ჰესის მშენებლობის პროცესი დაკავშირებული იქნება დამხმარე ბიზნეს საქმიანობების (სამშენებლო მასალების წარმოება, ვაჭრობის და მომსახურების სფერო, კვების პროდუქტების წარმოება და სხვა) გააქტიურებასთან. შესაბამისად მოსალოდნელია დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესება;
- პროექტების განხორციელება დაკავშირებული იქნება ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასთან და თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული მუნიციპალიტეტი დღემდე სახელმწიფო დოტაციაზეა, ადგილი იქნება მნიშვნელოვან დადებით ზემოქმედებას.

აღსანიშნავია, რომ არც მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები არ იქნება მნიშვნელოვანი, რადგან სამშენებლო მოედნები მნიშვნელოვანი მანძილითაა დაცილებული საცხოვრებელი ზონებიდან. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საპროექტო ჰესების ობიექტები მნიშვნელოვან მანძილითაა დაცილებული ერთმანეთისაგან და მოსახლეობის შემაწახებელი ფაქტორების კუმულაციური ეფექტი ნაკლებად სავარაუდოა.“

მესტიაჭალა ჰესის გზშ: სოციალურ ეკონომიკური გარემო:

„ზოგადად მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურ- ეკონომიკურ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება დაგეგმილი კასკადის მშენებლობის ფაზაზე დადებითი ხასიათის იქნება, შემდეგი გარემოებების გამო:

- სამშენებლო სამუშაოების შესრულებისათვის შეიქმნება გარკვეული რაოდენობის (დაახლოებით 160 ერთეული) დროებითი სამუშაო ადგილები, რომლებზედაც ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მუშა ძალა (დაბალი კვალიფიკაციის მუშახელის აბსოლუტური უმრავლესობა, რაც თვით საქმიანობის განმხორციელებელი კომპანიების მნიშვნელოვანი ინტერესია);

- ჰესების მშენებლობის პროცესი დაკავშირებული იქნება დამხმარე ბიზნეს საქმიანობების მასალების წარმოება, ვაჭრობის და მომსახურების სფერო, კვების პროდუქტების წარმოება და სხვა გააქტიურებასთან. შესაბამისად მოსალოდნელია დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესება;
- პროექტების განხორციელება დაკავშირებული იქნება მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასთან და თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული მუნიციპალიტეტი დღემდე სახელმწიფო დოტაციაზეა, ადგილი იქნება მნიშვნელოვან დადებით ზემოქმედებას.

აღსანიშნავია, რომ არც მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები არ იქნება მნიშვნელოვანი, რადგან სამშენებლო მოედნები მნიშვნელოვანი მანძილითაა დაცილებული საცხოვრებელი ზონებიდან. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საპროექტო ჰესების ობიექტები მნიშვნელოვან მანძილითაა დაცილებული ერთმანეთისაგან და მოსახლეობის შემაწუხებელი ფაქტორების კუმულაციური ეფექტი ნაკლებად სავარაუდოა.“

ხადორი 3 ჰესი: ზემოქმედება წყლის ხარისხზე:

„საპროექტო ჰესების ოპერირების ფაზაზე კუმულაციურ ზემოქმედება შეიძლება დაკავშირებული იყოს მდინარეების წყლის ხარისხის გაუარესებასთან. ჰესების ოპერირების ფაზაზე წყლის გარემოს დაბინძურება, როგორც წესი დაკავშირებულია ნარჩენების არასწორ მართვასთან ან საწვავის და ზეთების შენახვა/გამოყენების წესების დარღვევასთან. შესაბამისად ამ ზემოქმედების მინიმუმაცა შესაძლებელია სწორი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და მონიტორინგის პირობებში.“

მესტიაჭალა ჰესი: ზემოქმედება წყლის ხარისხზე:

„საპროექტო ჰესების ოპერირების ფაზაზე კუმულაციურ ზემოქმედება შეიძლება დაკავშირებული იყოს მდინარეების წყლის ხარისხის გაუარესებასთან. ჰესების ოპერირების ფაზაზე წყლის გარემოს დაბინძურება, როგორც წესი დაკავშირებულია ნარჩენების არასწორ მართვასთან ან საწვავის და ზეთების შენახვა/გამოყენების წესების დარღვევასთან. შესაბამისად ამ ზემოქმედების მინიმუმაცა შესაძლებელია სწორი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და მონიტორინგის პირობებში.“

ა.შ.

ეს კი ასევე ეწინააღმდეგება „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნას.

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების (მუხლი 6 პარაგრაფი 2) მოთხოვნას: ვ) გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და თავიდან აცილების გზებს, საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრას;

V. ზემოქმედება იქთიოფაუნაზე

წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, „წყლის დინებაზე ზემოქმედება მოსალოდნელია იმ მონაკვეთზე, რომელიც მოქცეული იქნება სათავესა და ძალური კვანძის გამყვან არხს შორის, რაც სავარაუდოდ 4.5 კმ სიგრძის იქნება. ზემოქმედების შესამცირებლად გადაწყვეტილება მიღებულია, რომ სათავე კვანძის არეალში მდინარე ალაზანიდან დამატებითი ხარჯის აღება არ მოხდება და ქვედა ბიეფში „ხადორი 2“-ის სავალდებულო ეკოლოგიური/სანიტარული ხარჯის გატარდება, რომელსაც დაემატება რამდენიმე მნიშვნელოვანი შენაკადი (მდ.ხოროჯოს წყალი, ბაწარა და სხვა)“. შესაბამისად, ავტორების მიერ ხადორი 2 ჰესის მიერ გატარებული ეკოლოგიური ხარჯი და სხვა

შემარბილებელი ღონისძიებები მიჩნეულია საკმარისად და გაკეთებულია დასკვნა, რომ იქთიოფაუნაზე ზემოქმედება და შესაბამისად, მიყენებული ზარალი შეიძლება შეფასდეს, როგორც „უმნიშვნელო“³.

თუმცა გაუგებარია, რის საფუძველზე და როგორ გააკეთეს ანგარიშის ავტორებმა აღნიშნული დასკვნა, მაშინ როდესაც გზშ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ხადორი 2 ჰესის მონიტორინგის ანგარიშები იქთიოფაუნასთან მიმართებაში. უფრო მეტიც, გაუგებარია, რატომ არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ანგარიშის ავტორებისთვის, მათ მიერვე დაფიქსირებული ის ფაქტი, რომ: („5.2.9.3.6 დასკვნები“) „ჩვენი მცდელობის მიუხედავად იქთიოლოგიური მასალის მოპოვება ვერ მოვახერხეთ, მაგრამ დავაფიქსირეთ უხვი საკვები ბაზის არსებობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს მონაკვეთი უკვე დატოვებს აქ მოზინადრე თევზებმა“.

სრულიად უადგილოა „12.2 საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები“ ქვეთავში გაკეთებული ჩანაწერიც: „იმ შემთხვევაში თუ იქთიოლოგიური კვლევებით გამოიკვეთა, რომ არსებული ეკოლოგიური ხარჯი იწვევს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაციას, საქმიანობა განხორციელდება მონიტორინგის შედეგად დადგენილი ახალი გაზრდილი ხარჯის შესაბამისად“. ხადორი 2 ჰესის პროექტზე უკვე დიდი ხანია უნდა მიმდინარეობდეს მონიტორინგი და შედეგები ცნობილი და გამოყენებული უნდა ყოფილიყო გზშ ანგარიშის მომზადების პროცესში.



თევზსავალი და წყალაღების წერტილი ხადორი 2 ჰესისთვის

შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ეს შეფასება წინააღმდეგობაში მოდის „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების (მუხლი 6 პარაგრაფი 2) მოთხოვნასთან: გ) გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებების პროგნოზი;

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხადორი 2 ჰესის პროექტში ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრის ანალოგიური მიდგომა იქნა გამოყენებული, რაც არაგვი ჰესისა და ყაზბეგი ჰესის შემთხვევაში. ქვემოთ წარმოდგენილ სურათებზე ნათლად ჩანს, მსგავსი მიდგომის შედეგები.

³ გზშ ანგარიში; „6.7.4.2.2 დასკვნა“; გვ. 161;



ცარიელი თევზსავალი, არაგვი ჰესი

10% წყლის ნაკადი კალაპოტში ყაზბეგი ჰესი, ხდის ხეობა

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ხადორი 3 ჰესის გზშ ანგარიშის მომზადების პროცესში დაირღვა „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის მეორე პარაგრაფის შემდეგი პუნქტები:

- ი) პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიის ალტერნატივების განსაზღვრას;
- ე) დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას;
- ვ) გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და თავიდან აცილების გზებს, საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრას;
- თ) პროექტების ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების ჩატარებას;
- ო) დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკების ანალიზს (მშენებლობის ან/და ექსპლუატაციის ეტაპზე);
- გ) გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებების პროგნოზი;
- ჟ) გარემოზე დადგენილ ზემოქმედებათა ფაქტორების შედეგად მიღებული გარემოს მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზს;

ასევე ამავე დებულების მე-6 მუხლის მე-4 პარაგრაფი „...შეადგინოს დასკვნა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაციის უტყუარობისა და მის საფუძველზე მიღებული საპროექტო გადაწყვეტების მართებულობის შესახებ“.

ზემოაღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე, ჩვენთვის გაუგებარია, რისი მიხედვით იხელმძღვანელა გადაწყვეტილების მიმღებმა, როდესაც გასცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი გზშ ანგარიში პირდაპირ არღვევს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების არაერთ მუხლს და ამასთან მოიცავს არაერთ წინააღმდეგობრივ თუ კოპირებულ ინფორმაციებს სხვა გზშ ანგარიშებიდან.